დავით კუხალაშვილი

სამაგისტრო პროგრამის „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ მოთხოვნადობა საქართველოს შრომის ბაზარზე

(კვლევის ანგარიში-2018)

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დაკვეთით კვლევა განხორციელდა ა(ა)იპ ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრის მიერ, პროექტის - „სამაგისტრო პროგრამის „უსაფრთხოების კვლევევის მაგისტრის“ მოთხოვნადობა ბაზარზე, აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირების დასაქმების და უმაღლეს სასწავლებლებში ანალოგიური პროგრამების განხორციელების შესახებ პერსპექტივის განსაზღვრის ფარგლებში.

შინაარსი

1. შესავალი……3-12

2. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების კვლევის შედეგები (სახელმ. სექტორი)……13-23

3. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების კვლევის შედეგები (კერძო სექტორი)……24-26

4. უსაფრთხოების კვლევების თვალსაზრისით უცხოური გამოცდილების ანალიზი……27-31

5. წერილობითი გამოკითხვის ობიექტები, პასუხები და მათი ანალიზი……32-56

6. მიმოწერის ობიექტების მიერ მოწოდებული პასუხების ანალიზი……57-62

7. „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს კვალიფიკაცის დანერგვის საფუძვლები (საბოლოო დასკვნა) ……63-65

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი

შრომის ბაზრის შესწავლა მნიშვნელოვან საფუძვლებს ქმნის დასაქმებისა და ბიზნესის გავრცობა-განვითარების პროცესების ორგანიზებაში.

სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას კი უმაღლესი სწავლების საფეხურების სწორად დაგეგმვა-განხორციელება წარმოადგენს. შესაბამისად, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად ჩამოთვლილი პროცესების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა.

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არსებული ვითარება გამოირჩევა არასტაბილურობით.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოში ორჯერ განხორციელდა კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი (1992 წელს-„სისხლიანი“, 2003 წელს-„მშვიდობიანი“) დამხობის, სახელმწიფოს მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე ტერორისტული აქტების, იურიდიულ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივი კონტროლის დაკარგვის, სადაზვერვო ხასიათისა და ეკონომიკური საბოტაჟის ნიშნების შემცველი ქმედებების-სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების (მათ შორის მტრულად განწყობილ) უხცო სახელმწიფოთა კომპანიებზე გადაცემის, მძიმე სოციალურ ყოფაში მყოფი მოსახლეობისათვის მოხმარებულ ელექტროენერგიაზე, სასმელ წყალზე, ბუნებრივ აირზე ტარიფების ზრდის

სისტემურობის, სამეცნიერო პოტენციალის მიზანმიმართული შესუსტებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი სხვა პროცესების ორგანიზება.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ალბათობით ყველა ჩამოთვლილ პროცესში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების როლი მნიშვნელოვანია, რაც ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე იძლევა დასაბუთებული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მასზედ რომ, დაინტერესებული სახელმწიფოები, რეგიონზე ან/და საქართველოზე დომინირებისათვის ბრძოლაში კვლავ აგრძელებენ და გააგრძელებენ დამაზიანებელ ორგანიზებას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების (სახელმწიფოს უსაფრთხოები) შესასუსტებლად.

უმძიმესი ვითარებაა სახელმწიფოს სამეცნიერო და კორპორაციულ სექტორზეც. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, 2013-2014 წლებში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის-„ბიზნესის დახვეწილობისა და საინოვაციო ინდიკატორების (სახელმწიფოში ინოვაციების უნარი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, კომპანიების ხარჯები სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარებისათვის და სხვა) თვალსაზრისით საქართველო ქვეყნების სიის ბოლოს რჩება.“[1]

ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უშიშროებისა და ინტერესების გათვალისწინებით კერძო სექტორიც იგნორირებას უკეთებს საკუთარი უსაფრთხოების მყარი სისტემების ჩა-

[1] ნინა კუნცევა-გაბაშვილი. „3 „ი“-ს პარადიგმა.“ 17 იანვარი, 2014 . http://forbes.ge/news/217/3-%E2%80%9Ei%E2%80%9C-s-paradigma;

მოყალიბებასა და ამ მიმართებით პრაქტიკულად არ იყენებს სამეცნიერო სექტორს.

აზრს ამყარებს საქართველოს ბაზრის გაჯერება უცხო ქვეყნების იმ პროდუქციით, რომლის შექმნა საქართველოშიც არის შესაძლებელი, რაც დასაქმებისა და რთული სოციალური ვითარების განეიტრალების მნიშვნელოვანი საფუძველი იქნებოდა.

იმის გათვალისწინებით რომ, თანამედროვე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (სახელმწიფოს უშიშროების) უზრუნველმყოფ მნიშვნელოვან რგოლებს კონტრსადაზვერვო და სადაზვერვო უწყებები წარმოადგენენ. სწორედ მათ გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სტაბილური ოპერატიული ვითარების შენარჩუნება-გაუმჯობესების პროცესების დაგეგმვა-განხორციელება.

ყველა დანარჩენი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, შესაბამისად უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების შეღწევა-ზეგავლენის მნიშვნელოვან სეგმენტებს წარმოადგენენ და მათი გამართული მუშაობა სწორედ სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ფუნქციებით აღჭურვილი სამსახურების აქტიური მუშაობით მიიღწევა.

შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა ორიარუსიანი სისტემით ხორციელდება:

I იარუსი:

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები ოპერატიულ-აგენტურულ-ანალიტიკური საქმიანობით უზრუნველყოფს, საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო და კერძო სტრუქ-

ტურების დამაზიანებელი (მათ შორის უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო) ზეგავლენისაგან დაცვას, სათანადო კვლევებით ახდენს საფრთხეების გამოკვეთას და საკუთარი ზემოქმედების საზღვრებს გარეთ რეაგირებისათვის, საიდუმლო ან არასაიდუმლო გრიფით სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების ინფორმაციულ აღჭურვას, საჭიროების შემთხვევაში კოორდინირებულ ქმედებას ახორციელებს;

II იარუსი:

სპეცსამსახურების გარდა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები შიდა უსაფრთხოების ქვესტრუქტურების (გენერალური ინსპექცია, ანალიზისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტი და სხვა) მეშვეობით სათანადო კვლევებით ახორციელებენ უწყების (ობიექტის) ფიზიკური და პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების დაცვას.

საფრთხეების გამოკვეთის შემთხვევაში და საკუთარი ზემოქმედების საზღვრებს გარეთ რეაგირებისათვის, საიდუმლო ან არასაიდუმლო გრიფით სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების ინფორმაციულ აღჭურვას, საჭიროების შემთხვევაში კოორდინირებულ ქმედებას ახორციელებს.

ორთავე იარუსზე ეროვნული უსაფრთხოების შესაბამისი პროცესის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია საკადრო კომპლექტაცია განხორციელდეს უსაფრთხოების კვლევების უნარისა და უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლების მეშვეობით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია თანამშრომელთა უმაღლესი განათლებით უზრუნველმყოფი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მოკლევადიანი სწავლებით უსაფრთხოების კვლევების სპეციალისტთა მომზადება კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანი იყო გაგვერკვია სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებობდნენ თუ არა „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პირები, თუ რამდენად მოთხოვნადები არიან ისინი საქართველოს შრომით ბაზარზე. საუბარია სპეციალისტებზე, რომელთაც ხელეწიფებად სამუშაო ადგილებზე მაღალპროფესიონალურად განახორციელონ ეფექტური ორგანიზაციული და მმართველობითი საქმიანობა, როგორც სახელმწიფო ისე კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბაზრის კვლევა მიმდინარეობდა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკავალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული (მიმართულება სოციალური მეცნიერებები-კოდი 07, დარგი/სპეციალობა პოლიტიკის მეცნიერებანი-კოდი 0702, ქვედარგი/სპეციალიზაცია უსაფრთხოების კვლევები-კოდი 070204) სამაგისტრო პროგრამის-უსაფრთხოების კვლევების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია-უსაფრთხოების კვლევების მაგის-ტრი) განხორციელების მიზნით.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი ძირითა-დი საკითხების შესწავლა:

® კავშირი ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და სპეციალობის დანერგვის აუცილებლობას შორის;

® სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებობდნენ თუ არა „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პირები;

® რამდენად მოთხოვნადია უსაფრთხოების კვლევების მა-გისტრის საგანმანათლებლო პროგრამა შრომის ბაზარზე;

® რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს ბაზარი უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმებას;

® რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამა.

კვლევის მეთოდოლოგია-კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე:

ა) სახელმწიფო და კერძო სექტორებში არსებული იმ სტრუქტურული დანაყოფების ანალიზით, რომელთა საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ დასაქმების პერსპექტივას;

ბ) უსაფრთხოების კვლევების თვალსაზრისით უცხოური გამოცდილების ანალიზი;

გ) საქართველოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, სტუდენტური წრის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების წერილობითი გამოკითხვით;

შედეგის მისაღებად საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. ანალიზისათვის მასალები მოძიებული იქნა ღია წყაროებში, კვლევაში გამოყენებული იქნა წერილობითი მიმართვები, მათ შორის სოციალური ქსელის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რამაც სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის შესაძლებლობა მოგვცა. წერილობითი მიმართვა იყო ორი სახის:

ვარიანტი 1.

გაცნობებთ რომ, უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორნდუმის საფუძველზე, ცენტრი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რომლის მიზანია გამოვარკვიოთ თუ რამდენად მოთხოვნადები არიან ბაზარზე „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც ხელეწიფებად სამუშაო ადგილებზე მაღალპროფესიონალურად განახორციელონ ეფექტური ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობა, როგორც სახელმწიფო ისე კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბაზრის კვლევა მიმდინარეობს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N120/ნ ბრძა-

ნებით დამტკიცებული ეროვნული საკავალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული (**მიმართულება სოციალური მეცნიერებები-კოდი 07, დარგი/ სპეციალობა პოლიტიკის მეცნიერებანი-კოდი 0702, ქვედარგი/სპეციალიზაცია უსაფრთხოების კვლევები-კოდი 070204**) სამაგისტრო პროგრამის: უსაფრთხოების კვლევების (**მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი**) განხორციელების მიზნით.

„უსაფრთხოების კვლევების მაგისტირი“ აღჭურვილი იქნება უნარებით, რომელიც სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო და კორპორაციული (კომპანიათა) უსაფრთხოების მიმართულებით უზრუნველყოფს ანალიტიკურ კვლევებს საფრთხეების გამოკვეთის, მათი თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ გვაცნობოთ, თქვენდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურაში დასაქმებულ თანამშრომლებს გააჩნიათ თუ არა „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია და მოთხოვნადია თუ არა ეს უკანასკნელი.

ვარიანტი 2.

გაცნობებთ რომ, უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორნდუმის საფუძველზე, ცენტრი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რომლის მიზანია

გამოვარკვიოთ თუ რამდენად მოთხოვნადები არიან ბაზარზე „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც ხელეწიფებად სამუშაო ადგილებზე მაღალპროფესიონალურად განახორციელონ ეფექტური ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობა, როგორც სახელმწიფო ისე კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბაზრის კვლევა მიმდინარეობს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკავალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული (**მიმართულება სოციალური მეცნიერებები-კოდი 07, დარგი/სპეციალობა პოლიტიკის მეცნიერებანი-კოდი 0702, ქვედარგი/სპეციალიზაცია უსაფრთხოების კვლევები-კოდი 070204**) სამაგისტრო პროგრამის: უსაფრთხოების კვლევების (**მისანიჭებელი კვალიფიკაცია-უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი**) განხორციელების მიზნით.

„უსაფრთხოების კვლევების მაგისტირი“ აღჭურვილი იქნება უნარებით, რომელიც სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო და კორპორაციული (კომპანიათა) უსაფრთხოების მიმართულებით უზრუნველყოფს ანალიტიკურ კვლევებს. საფრთხეების გამოკვეთის, მათი თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ გვაცნობოთ, მოთხოვნადია თუ არა „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია.

კვლევა მიმდინარეობდა 2017 წლის ოქტომბერი-დეკემბრისა და 2018 წლის იანვრის თვეში.

2. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების კვლევის შედეგები (სახელმწიფო სექტორი)

I. *მიმოვიხილოთ სახელმწიფო სექტორში არსებული რამოდენიმე სტრუქტურული დანაყოფი და ქვედანაყოფი, რომელთა საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ დასაქმების პერსპექტივას.*

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უცხო

სახელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. ოპერატიული (მათ შორის აგენტურული, კრიმინა-

ლური) ვითარების შესახებ ანალიზის სიმყარე განპირობებულია მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხობის სისტემაში კონტრსადაზვერვო ფუნქცია გააჩნია.

შესაბამისად უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის შს სამინისტრო დასაქმების პერსპექტიული ადგილია.

ბ) ***საქართველოს დაზვერვის სამსახური*** *უცხო სა-*



ხელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. ოპერატიული (მათ შორის აგენტურული) ვითარების შესახებ ანალიზის სიმყარე განპირობებულია მყარი ანა-

ლიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმით. სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების სადაზვერვო შეღწევადობის დაცვის თვალსაზრისით სამსახურს სახელმწიფო უშიშროების სისტემაში, ***სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის*** *მსგავსად კონტრსადაზვერვო ფუნქციაც გააჩნია.* ***შესაბამისად სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის და-საქმების პერსპექტიული ადგილია.***

გ) **საქართველოს მთავარი პროკურატურა** უცხო



სახელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. სხვა მოვალეობებთან ერთად, ოპერატიული და სამძებრო ორგანოების საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთ-

გვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა პირდაპირ უკავშირდება თანამშრომელთა ანალიზის სიმყარეს, რომელსაც განაპირობებს მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმა. ***შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურა უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია;***

*დ) **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინის-***

***ტრო** უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. იგი სახელმწიფოს სადაზვერვო საქმიანობის თანაზიარი სტრუქტურაა. უშუალოდ სადაზვერვო და სტრუქტურული უსაფრთხოების ორგანიზება ეფუძნება სამინისტროს ქვესტრუქტურების მიერ განხორციელებული ანალი-*

ზის სიმყარეს, რომლის განმაპირობებელ გარემოებას მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმაა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი მნიშვნელოვანია საქართველოს ბიზნეს სექტორის უცხო სახელმწიფოში გავრცობადობის კუთხითაც. შესაბამისად კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ანალიტიკური ცოდნა განსაკუთრებულ აზრს იძენს, ხოლო ***საგარეო საქმეთა სამინისტრო უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია;***

ე) **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინის-**

ტრო უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. სამინისტროს როლი მნიშვნელოვანია

საქართველოს აგრარული ბიზნეს სექტორის უცხო სახელმწიფოში გავრცობადობის კუთხით. შესაბამისად სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ანალიტიკური ცოდნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ, სამინისტროს სტრუქტურული უსაფრთხოების ორგანიზება უნდა ეფუძნებოდეს სამინისტროს ქვესტრუქტურების მიერ განხორციელებულ ანალიზის სიმყარეს, რომლის განმაპირობებელ გარემოებას მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმაა. ***შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტრო უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია;***

3) **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინის-**

ტრო უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნი-

შვნელოვანი სეგმენტია. სტრუქტურის უსაფრთხოებისა, იქ არსებული ოპერატიული ვითარების შესახებ ანალიზის სიმყარეს უნდა განაპირობებდეს მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმა. სამსახურს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში, მას კონტრსადაზვერვო ფუნქციაც გააჩნია. ***შესაბამისად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია;***

ზ) **ფინანსთა სამინისტრო** უცხო სახელმწიფოთა სადაზ-



ვერვო (განსაკუთრებით ეკონომიკური დაზვერვის) შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. საბიუჯეტო, საგადასახადო და სააღრიცხვო კანონმდებლობის შემუშავების და დაცვის,

ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, მოკვლევისა და წინასწარ გამოძიების, სტრუქტურის უსაფრთხოების პროცესის წარმატებას სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ანალიტიკა-კვლევები, ე.ი. ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმა განაპირობებს. ***შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია;***

თ) ***თბილისის სააპელაციო სასამართლო*** *უცხო სა-*

ხელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. სასამართლოში არსებული მონაცემები და მიღებული გადაწყვეტილებები სახელმწიფოში არსებული ოპერა-

ტიული ვითარების მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს. სტრუქტურის და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა პირდაპირ უკავშირდება თანამშრომელთა ანალიზის სიმყარეს, რომელსაც განაპირობებს მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმა. ***შესაბამისად სასამართლოს ანალიტიკური სამსახურები უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია.***

ი) **ადგილობრივი თვითმართველობა** უცხო სახელმ-



წიფოთა სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. ადგილობრივი თვითმართველობის სისტემა მყარად უნდა იქნეს ჩართული საფრთხეების შესახებ რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, კონტრსადაზვერვო და პოლიციურ სამსახურებთან ანალიტიკური (მათ შორის მოსა-

ლოდნელი საფრთხეების შესახებ) ინფორმაციის ურთიერთ-გაცვლის კოორდინირებულ სისტემაში, რომელიც თვითმართ-ველობის შესაბამის ქვესტრუქტურაში მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმით და ამ უნარების მქონე თანამშრომლებით მიიღწევა. ***შესაბამისად ადგილობრივი თვითმართველობა უსაფრთხოების კვლევების მაგის-ტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია.***

*კ) სახელმწიფო დაფინანსებით მოქმედი და ზოგადად **მას-მედია (მათ შორის ტელევიზია)** უცხო სახელმწიფოთა სა-*

დაზვერვო შეღწევადობისათვის, აგრეთვე უცხო სახელმწიფო-თა დამაზიანებელი პროპაგანდის საწინააღმდეგო მნიშვნე-ლოვანი სეგმენტია, რომელსაც სახელმწიფოსათვის კონტრ-

სადაზვერვო ფუნქციაც გააჩნია. უცხო სახელმ-წიფოთა დამა-ზიანებელი პროპაგანდის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებათა წარმატება განპირობებულია მასმედიის საშუა-ლებების მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე ჟურნალისტების კომპლექტაციით. ***შესაბამისად მას-მედია უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია.***

3. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების კვლევის შედეგები (კერძო სექტორი)

ა) ***საბანკო სექტორი*** სადაზვერვო (განსაკუთრებით

ეკონომიკური დაზვერვის), მათ შორის აგენტურული შეღწევადობის მნიშვნელოვანი სეგმენტია. საბანკო სექტორი საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაციის მასშტაბურობით გამოირჩევა. შესაბამისად სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ანალიტიკის ცოდნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად საბანკო სექტორის სტრუქტურული უსაფრთხოების ორგანიზება უნდა ეფუძნებოდეს საბანკო სექტორის შიდა და გარე საფრთხეების გამოკვეთას, რაც მყარი ანალიტიკური ცოდნისა და გამოცდილების შერწყმით მიიღწევა. ***შესაბამისად საბანკო სექტორი უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია.***

ბ) **საზღვაო პორტები** სადაზვერვო (მათ შორის ეკონომი-



კური დაზვერვის, აგენტურული) შეღწევადობის მნიშვნელოვანი, კონტრსადაზვერვო მიმართულებით საზრუნავი სეგმენტია.

სახელმწიფოს და პორტის მფლობელი, იქ მოღვაწე კომპანიების საერთო ინტერესებში პორტების უსაფრთხოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით გააჩნია საერთო ინტერესი ანტიტერორიზმის და ანტისაბოტაჟის ორგანიზების კუთხით.

შესაბამისად, საზღვაო პორტში დასაქმებული კომპანიებისა და ოპერატიული ფუნქციის გამხორციელებელ სამსახურებს შორის უნდა არსებობდეს ანალიტიკური ინფორმაციების ურთიერთგაცვლის მყარი სისტემა, რომელიც ოპერატიული ფუნქციების მქონე სამსახურებში და საზღვაო პორტებში დასაქმებული კომპანიების ქვესტრუქტურაში მყარი ანალიტიკური ცოდ-

ნისა და გამოცდილების შერწყმით, ამ უნარების მქონე თანამშრომლებით მიიღწევა.

საზღვაო პორტების მფლობელი და პორტში დასაქმებული კომპანიები უსაფრთხოების კვლევების მაგისტრისათვის დასაქმების პერსპექტიული ადგილია.

ანალოგიური პერსპექტივა არსებობს ობიექტების ფიზიკური დაცვის და იქ მიმდინარე შიდა პროცესების უსაფრთხოების ორგანიზების პირობებში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორი ერთმანეთთან კოორდინირებულად უნდა საქმიანობდნენ. ამ კუთხით ანალიტიკურ-სტატისტიკური, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მონაცემების ურთიერთგაცვლის პროცესი მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს რომ, აღნიშნული სტრუქტურები სახელმწიფოს საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით შესაბამისი რეჟიმითაც კი მოღვაწეობენ.

4. უსაფრთხოების კვლევების თვალსაზრისით უცხოური გამოცდილების ანალიზი

უშუალოდ საკვლევი თემის განხილვამდე საყურადღებოა სტუდენტთა განწყობები, მათი დამოკიდებულებები სასწავლო პროცესებისადმი. ამ კუთხით საინტერესო მონაცემებს შეიცავს კვლევა,[2] რომელშიაც მონაწილეობდა 10 (8 უნივერსიტეტში ფოკუს ჯგუფებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები) სამიზნე უნივერსიტეტის სამივე საფეხურის 3000 სტუდენტი.

კვლევის მიხედვით: გამოკითხული სტუდენტების შეფასებებში ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს უმაღლესი განათლების შინაარსის ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა, აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს სასწავლო პროცესში აქცენტი კვლევით კომპონენტზე. საჯარო უნივერსიტეტებში გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი თვლის, რომ სასწავლო პროგრამა არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვ-

---

[2] „უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა სწავლის პროცესში ჩართულობის ვლევა კვლევის ანგარიში.“ ილიას უნივერსიტეტი. 2014 ნათია ანდღულაძე & თამარ ბრეგვაძე – კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელები პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. http://erasmusplus.org.ge/files/publicati-ons/Student%20satisfaction%20survey%20-%20ge.pdf;

ნებს, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუ-
დენტებიდან ყოველი მეხუთე ამბობს, რომ არასოდეს
მიუღია მონაწილეობა კვლევაში. სტუდენტები, ასევე,
თვლიან, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო კომპონენ-
ტში პრაქტიკის წილის გაზრდა, გაცვლითი პროგრა-
მების ხელმისაწვდომობის გაზრდა, უცხო ენის სწავლე-
ბის გაუმჯობესება. გაცვლითი პროგრამებით კმაყო-
ფილება მაღალია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ: ვითარება საგანგა-
შოა და სტუდენტთა უცხო სახელმწიფოებში მიგრაციის
მაღალი ალბათობა არსებობს, რაც ქართული უმაღ-
ლესი სასწავლებელების განვითარების ხელშემშლე-
ლი, სამეცნიერო პოტენციალის დაქვეითების ხელშემ-
წყობი გარემოება გახდება. უნდა აღინიშნოს, რომ მა-
ღალი ალბათობით იმიგრირებულ სტუდენტთა უმრავ-
ლესობა მიღებული გამოცდილებით ან მის გარეშე უც-
ხო სახელმწიფოებშივე დარჩნენ და მათ ინტერესებს
მოემსახურონ. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებ-
ლად გამოდგება ემიგრაციის კვლევის სტატისტიკური
მონაცემები. ცხრილში (ქართველი ემიგრანტები ძი-
რითადი ბინადრობის ქვეყნების მიხედვით)[3] ასახულია
სახელმწიფოები, სადაც ქართველ ემიგრანტთა ჯგუფ-

[3] „საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი.“ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2015. გვ.15. http://migration.commission.ge/files/migration _profile_geo_may.pdf;

ის დიდი ნაწილი შრომითი ან სწავლისა და ოჯახის გაერთიანების მიზნით არიან წასული ემიგრაციაში.

N	წლები	აშშ	ესპანეთი	გერმანია
1	1990	7691	104	1410
2	2000	11346	523	10482
3	2010	14386	10168	13255
4	2013	14909	10621	13404

ამ ფონზე მიმოვიხილოთ უსაფრთხოების კვლევების კუთხით უცხო სახელმწიფოებში არსებული ვითარება.

ღია წყაროებში განთავსებული ინფორმაციის ანალიზი იძლევა საფუძველს დავსკვნათ, რომ ქვემოჩამოთვლილი კურსის დამთავრების შემდგომ მაგისტრები აღჭურვილი იქნებიან ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომლითაც შეძლებენ:

- ➢ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების სიღრმისეულ აღქმას;
- ➢ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების პრაქტიკული და თეორიული პრობლემების კრიტიკულ გააზრებას;
- ➢ გამოავლინონ ანალიტიკური უნარების, ასე-ვე სიტყვიერი და წერილობითი ურთიერთობების მა-ღალი დონე;

➢ განახორციელონ დამოუკიდებელი კვლევები ეროვნული უსაფრთხოების კუთხით და სხვა.



იმავე მიმართულებით საყურადღებოა სხვა ქვეყნებში არსებული სამაგისტრო პროგრამები:

ავსტრალია

ავსტრალიის ნაციონალური უნივერსიტეტი-„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მაგისტრი,“[4]

[4] „Master of National Security Policy. Australian National University - College Of Asia & The Pacific.“ https://www.masterstudies.com;

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის სამხედრო უნივერსიტეტი „ეროვნული უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი,“[5]

ისრაელი

ხაიფას უნივერსიტეტი, ეროვნული უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი,“ და სხვა;[6]

/Master-of-National-Security-Policy/Australia /Austra lian -National-University-College-Of-Asia-and-The-Pacific/;

[5] National Security Studies. Master of Arts. **https://www.amu.apus.edu/academic/schools/** security-and-global-studies/masters/national-security-studies.html;

[6] MA Program in National Security Studies https://www.master studies.com/MA-Program-inNational-Security-Studies/Israel/ UHIS/;

5. წერილობითი გამოკითხვის ობიექტები, პასუხები და მათი ანალიზი

კვლევის დაგეგმვის ეტაპზე შერჩეული იქნა 58 (ორმოცდათვრამეტი) ადრესატი, თუმცა კვლევაში მონაწილეობა მიიღო 34 (ოცდათოთხმეტი) ადრესატმა. გამოკითხვის ობიექტებს წარმოადგენდნენ:

1. სამინისტროები: 12 (თორმეტი) ერთეული;

2. სამინისტროს ქვეუწყებები: 1 (ერთი) ერთეული;

3. საკანონმდებლო ორგანო: 1 (ერთი) ერთეული;

4. სახელმწიფო დაწესებულება: 1 (ერთი) ერთეული;

5. პროფკავშირული ორგანიზაცია: 1 (ერთი) ერთეული;

6. არასამთავრობო ორგანიზაცია: 3 (სამი) ერთეული;

7. საქართველოს შსს აკადემიის სტუდენტი (ბაკალავრიატი): 3 (ერთეული);

8. იურისტი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი: 1 (ერთი) ერთეული;

9. ადვოკატი. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სამართლის მაგისტრი კერძო სამართლის მიმართულებით: 1 (ერთი) ერთეული;

10. იურისტი, გორის რაიონული სასამართლოს თანამშრომელი: 1 (ერთი) ერთეული;

11. ისტორიკოსი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრანტი: 1 (ერთი) ერთეული;

12. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, საჯარო მმართველობის დოქტორანტი: 1 (ერთი) ერთეული;

13. ჟურნალისტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი: 1 (ერთი) ერთეული;

14. იურისტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოქტორანტი-კონფლიქტების ანალიზსა და მართვაში, ჩეხეთის რესპუბლიკა კარლის უნივერსიტეტი პრაღა, საერთაშორისო უსაფრთხოების სწავლების მაგისტრანტი: 1 (ერთი) ერთეული;

15. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრი, პოლონეთი, ლოძის საერთაშორისო უნივერსიტეტის, პოლიტიკის მენეჯმენტის დოქტორანტი: 1 (ერთი) ერთეული;

16. კერძო კომპანია: 4 ერთეული:
1.სასტუმრო;
2.რესტორანი;
3. კვების პროდუქტების დამამზადებელი საწარმოო;
4. ობიექტების ფიზიკური დაცვის სამსახური.

მონაწილე ადრესატებზე კორესპოდენციის მიწოდების მეთოდოლოგია და სტატისტიკა ასე შეგვიძლია გამოვსახოთ:

ჩაბარდა პირადად	20
გაიგზავნა ფეისბუქის მეშვეობით	10
გაიგზავნა ელექტრონული ფოსტით	4

20 (ოცი) ერთეულ შემთხვევაში ადრესატებს გადაეგზავ-ნათ გამოკითხვის ტექსტის I ვარიანტი, ხოლო 14 (თოთხმეტ) ერთეულ შემთხვევაში ტექსტის II ვარიანტი.

კვლევაში მონაწილე ადრესატები და მათი პოზიციები ასახულია ქვემომოყვანილ ცხრილში:

N	მიმოწერის ობიექტი (წერილის ვარიანტი) -ელექტრონული (ელ) -ხელზე ჩაბარებული (ხ.ჩ) -ფეისბუქი (f)	გაგზავნილი N, იუსტიციის	შემოსული წერილის N, პასუხის შინაარსი
1	საქართველოს იუსტიციის მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**g/14 -NSC 2.XI.17**	NშI/0030/NSC-12.XII.17 სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ პროფესიულ მოხელეებს არ აქვთ „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კვალიფიკაცია მოთხოვნადი არ არის

2	ქ. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქ-ტურის მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/17 -NSC 2.XI.17**	NშI/0029/NSC-5.XII.17. სამინისტროს არცერთ თა-ნამშრომელს არ აქვს უსა-ფრთხოების კვლევების მა-გისტრის კვალიფიკაცია. სამინისტროში მოქმედი დამატებითი საკვალიფი-კაციო მოთხოვნების შესა-ბამისად, აღნიშნული კვა-ლიფიკაცია, ამ ეტაპზე მო-თხოვნადი არ არის, თუმცა თანამედროვე მართვის სისტემების გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო მოთ-ხოვნების გათვალისწინე-ბით, აღნიშნული მიმართუ-ლება აქტუალობას იძენს და მიზანშეწონილია, არსე-ბობდეს შესაბამისი სამა-გისტრო პროგრამა.
3	საქ. სახელმწ. უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	**გ/20-NSC 2.XI.17**	NშI/0032/NSC-15.XII.17 სამსახურის რიგებში ირიც-ხებიან დაზვერვისა და სა-ერთაშორისო უსაფრთხო-ების მაგისტრის ხარისხის

	ვარიანტი1 (ხ.ჩ)		მქონე მოსამსახურეები
4	საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/22 -NSC 2.XI.17**	NშI/0042/NSC-20.XI.17 სამინისტროში დასაქმებულ თანამშრომლებს არ გააჩნიათ „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია
5	საქ. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/25 -NSC 2.XI.17**	NშI/0039/NSC-20.XI.17 სამინისტროს მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, არ არის განსაზღვრული „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია, შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების მხრიდან არც დამდგარა მისი მოთხოვნის აუცილებლობის საკითხი.

6	საქ. კულტურისა ძეგლთა დაცვის მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/26** **-NSC** **2.XI.17**	NშI/0035/NSC-16.XI.17 სამინისტროს ცენტრალურ აპარატში „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პირები არ არიან დასაქმებული... ქვედანაყოფების მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ კვალიფიკაციას არ ითვალისწინებს...სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებში „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე დასაქმებული პირების შესახებ ...ინფორმაციის მიღების მიზნით უფლებამოსილი ხართ მიმართოთ შესაბამის დაწესებულებებს.
7	საქ.თავდაცვის მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/27** **-NSC** **2.XI.17**	NშI/0041/NSC-20.XI.17 „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია გააჩნია საქართველოს

			თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის 8 (რვა) თანამშრომელს.
8	საქ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვარიანი 1 (ხ.ჩ)	**8/28 -NSC 2.XI.17**	NშI/0038/NSC-20.XI.17 სამინისტროში დასაქმებულ თანამშრომლებს არ გააჩნიათ „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია…სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან თანამშრომლობით, ახორციელებს თითოეული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია არ არის მოთხოვნადი. უფლება გაქვთ მი-

			მართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.
9	საქ. შინაგან საქმეთა მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/28 -NSC 2.XI.17**	NშI/0034/NSC-17.XI.17 სამინისტრო უსაფრთხოების კვლევის მაგისტრის კვალიფიკაციის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას არ ითვალისწინებს
10	საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/22 -NSC 2.XI.17**	NშI/0044/NSC-2.XII.17 სამინისტროს თანამშრომლებს არ გააჩნიათ „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია … სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულება სამინისტროს მხრიდან ნაკლებად მოთხოვნადია.

11	საქ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ვარიანტი 1 (ხ.მ)	**გ/35 -NSC 2.XI.17**	NშI/0046/NSC-5.XII.17 სამინისტროს მოსამსახურეებს შორის არ არიან „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პირები
12	საქარ.სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ვარიანტი 1 (ხ.მ)	**გ/0027/ NSC- 2.XI.17**	NშI/0047/NSC-10.XII.17 სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და სამინისტროს სსიპ-ებში დასაქმებულ თანამშრომლებს არ აქვთ „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს კვალიფიკაცია.
13	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ვარიანტი 1 (ხ.მ)	**გ/28/ NSC- 9.XI.17**	NშI/0048/NSC-8.XII.17 ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებლებს არ აქვთ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ანიჭებს უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის (კოდი 070204) კვალიფიკაციას.

14	საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/34 -NSC 2.XI.17**	NშI/0040/NSC-16.XI.17 პარლამენტის აპარატში დასაქმებულ თანამშრომლებს შორის არავის აქვს „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია...აღნიშნული კვალიფიკაცია საქართველოს პარლამენტში არ არის მოთხოვნადი
15	საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ვარიანტი 2 (ხ.ჩ)	**გ/64 -NSC 5.XII.17**	NშI/0050/NSC-10.XII.17 საქ. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მიერ ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების პროფილით სპეციალისტის-„უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს მომზადება ხელს შეუწყობს აღნიშნული სფეროს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეს, რომლებიც მაღალკვალიფიციურად განახორციე-

			ლებენ ღონისძიებებს როგორც სახელმწიფო, ისე კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
16	საქართველოს პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ვარიანტი 2 (ხ.ჩ)	**გ/81 -NSC 7.XII.17**	NშI/0001/NSC-5.I.18 კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ შრომის ბაზარზე მოთხოვნადია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, რადგან ქვეყანაში ამ კვალიფიკაციის მქონე პირების ნაკლებობაა.
17	საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაცის პრე-	**გ/49 -NSC 9.XI.17**	NშI/0037/NSC-16.XI.17 უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციით ასოციაციაში დასაქმებული არ არიან. სახელმწიფოში არსებული ვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში, საქართველოს როგორც სახელმწიფოს

	ზიდენტი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)		მონაწილეობის პრინციპე-ბიდან გამომდინარე მიგ-ვაჩნია, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია წარმოად-გენს ერთ-ერთ მნიშვნე-ლოვან და მოთხოვნად კვალიფიკაციას, სახელმ-წიფოს ეროვნული უსა-ფრთხოებისა და უშიშრო-ების უზრუნველყო-ფის სა-ქმეში...ასოციაციის მიზნე-ბიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებ-ლობად მიგვაჩნია აღნიშ-ნული კვალიფიკაციის მქო-ნე პირების სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორში, აგრეთვე „ს.ს.ი.პ"-ში დასაქმება
18	ა(ა)იპ „შეიარაღებული ძალების სამოქა-ლაქო კონტრო-ლის ჯგუფის ხელმძღვანელი	**გ/62 -NSC 14.XI.17**	N შ/0045/NSC-7.XII.17 ...მივესალმებით თქვენს ინიციატივას უსაფრთხოე-ბის კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციის შემოღების შესახებ, მივიჩნევთ მას

	ვარიანტი 1 (ელ)		როგორც ჩვენი დროის მოთხოვნად გამოწვევას რაც სარგებელს მოუტანს საქართველოს უსაფრთხოებას...
19	ა(ა)იპ არა კორუ-ფციას-შესყიდვე-ბის მონიტორინ-გის და სწავლე-ბის ცენტრის დი-რექტორი ვარიანტი 2 (ელ.)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0049/NSC-5.XII.17 უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცი-ის მქონე პირები მოთხოვ-ნადი არიან და იქნებიან სამომხმარებლო ბაზარზე. მისი მოთხოვნადობის პერ-სპექტივის აუცილებლობას საქართველოში შექმნილი ვითარებაც განსაზღვრავს, რაც სახელმწიფო და კორ-პორაციული (კომპანიათა) უსაფრთხოების მიმართუ-ლებით საფრთხეების გა-მოკვეთის, მათი თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიმართულებით კვალი-ფიციური ანალიტიკოსებისა და ანალიტიკური კვლე-ვების სიმწირე განსაზღ-

			ვრავს...აღნიშნული კვალიფიკაციის შემოღება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.
20	შპს ჯი-ემ-თი სასტუმროების უსაფრთხოების უფროსი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**g/39** **-NSC** **2.XI.17**	NშI/0033/NSC-15.XII.17 კომპანიაში უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი დასაქმებული არ არის. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კვალიფიკაციის დანერგვა მნიშვნელოვნად აამაღლებს კომპანიათა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონეს. კომპანიის პროფილიდან გამომდინარე აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირები მოთხოვნადები არიან საქართველოს ბაზარზე

21	შპს ჯი-ემ-თი მთა-წმინდა მენეჯერი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/40** **-NSC** **2.XI.17**	NშI/0036/NSC-17.XI.17 უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი კომპანიაში დასაქმებული არ არის...აღნიშნული კვა-ლიფიკაციის დანერგვა მნიშვნელოვნად აამაღ-ლებს კომპანიათა და სახელმწიფოს უსაფრთხო-ებას. კომპანიის პროფილი-დან გამომდინარე აღნიშ-ნული კვალიფიკაციის მქო-ნე პირები მოთხოვნადები არიან საქართველოს ბა-ზარზე
22	შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების გენერალური დი-რექტორი ვარიანტი 1 (ხ.ჩ)	**გ/41** **-NSC** **2.XI.17**	NშI/0031/NSC-15.XI.17 კომპანიის უსაფრთხოები-სა და ქონების დაცვის სამსახურში არ გვყავს დასაქმებული „უსაფრთხო-ების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე პი-რი. აღნიშნული კვალიფი-კაციის მქონე სპეციალის-

			ტები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებენ ორგანიზებულ-მმართველობით საქმიანობას როგორც სახელმწიფო, ისე კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით
23	შპს მაგისტრის დირექტორი ვარიანტი 1 (ელ)	**გ/42 -NSC 2.XI.17**	NშI/0061/NSC-10.XI.17 უსაფრთხოების კვლევების დიპლომირებული სპეციალისტები ჩვენ არ გვყავს, ჯარგი იქნებოდა ასეთი სპეციალისტების არსებობა
24	შსს აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი „გ.თ“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ 14.XI.17**	NშI/0054/NSC-14.XI.17 „უსაფრთხოების კვლევების“ დარგის განვითარება აუცილებელი არის
25	შსს აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი „ნ.ს“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ 14.XI.17**	NშI/0058/NSC-14.XI.17 „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია მოთხოვნადია და იქნება კიდეც მომავალშიც .

26	შსს აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი „თ.ჩ“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0057/NSC-14.XI.17 „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია საჭიროა და მოთხოვნადიც იქნება
27	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრი. პოლონეთი, ლოძის საერთაშორისო უნივერსიტეტის , დოქტორანტი, სპეციალობა: პოლიტიკის მენეჯმენტი, ფაკულტეტი: საერთაშორისო და პოლიტიკური მეცნიერება „რ.შ.“	**გ/66-NSC** **2.XI.17**	NშI/0065/NSC-20.XII.17 უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის პროგრამა მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რადგან თანამედროვე პოლიტიკურმა თუ სოციალურ-ეკონომიკურმა გამოწვევებმა (ტერორიზმის საფრთხე, სხვა ქვეყნის აგენტურული ქსელები, ეკონომიკური დივერსიები, სახელმწიფო ბიუროკრატიული კორუფციის სახე, იდეოლოგიური ფონი, „რბილი ძალა“ და ა.შ.) დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ ყოველ სახელმწიფო სტრუქტურას ესაჭიროება

	ვარიანტი 2 (ელ.)		კვალიფიციური კადრი, რომელიც ორიენტირებული იქნება უსაფრთხოების მიმართულებით დროული და შესაბამისი ანალიზი გააკეთოს და გადასცეს შესაბამის ზემდგომ უწყებას. არა მხოლოდ სახელმწიფო დონეზე, ვფიქრობ კერძო სექტორშიც საჭიროა უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებსაც შესაბამისი პროფილის მიხედვით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სისტემა მოამზადებს, ვგულისხმობ მკაფიოდ გაიმიჯნოს უსაფრთხოების კვლევების სპეციალისტის სამაგისტრო პროგრამის პროფილი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ასე შემდეგ.

28	იურისტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერს. დოქტორანტი - კონფლიქტების ანალიზსა და მართვაში კარლის უნივერსიტეტის (პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა) მაგისტრანტი-საერთაშორისო უსაფრთხოების სწავლებაში „კ.ფ.“ ვარიანტი 2 (f)	**g/14 -NSC 2.XI.17**	NშI/0063/NSC-18.XI.17 საქართველოს სტუდენტ-ახალგაზრდობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის აკადემიური პროგრამები. ინტერესი განირობებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობითა და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითაც არაერთი ქართველი სტუდენტი ჩვენს მიერ ხსენებული პროგრამის დაუფლების მიზნით მიემგზავრება უცხოეთის უნივერსიტეტებში, რაც საქართველოში მსგავსი ხასიათის მქონე პროგრამის არ არსებობით არის გამოწვეული. პროგრამის პოპულარობას ხელს უწყობს მისი ინტერდისციპლინარული

			ხასიათიც. მისი დაუფლება შეუძლია, როგორც სამართლის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა თუ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს. მიუხედავად ცალკეული დაინტერესებებისა დღემდე არ არსებობს ერთიანი მზაობა, რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით სახელმწიფო აკადემიური პროგრამების განვითარებას. ამავდროულად დღემდე საკმაოდ ბუნდოვანია მსგავსი ხასიათის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების პერსპექტივაც. იგი სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვ-

			ნებითაც არის განპირობებული.
29	ჟურნალისტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი „თ.ზ“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0059/NSC-14.XI.17 მოთხოვნადია.
30	ისტორიკოსი, საქ. საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი „ი.შ“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0055/NSC-14.XI.17 მოთხოვნადია.

31	საქ.ტექნი. უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, საჯარო მმართველობის დოქტორანტი „ს.გ“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0056/NSC-14.XI.17 მოთხოვნადიც არის და აუცილებელიც
32	იურისტი სამართლისა და საერთ. ურთიერთობების ფაკულ-ტეტის, პოლიტიკისა და საერთ. ურთიერთობების დეპარტამენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი „ლ.ს“ ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0063/NSC-14.XI.17 აუცილებლობას წარმოადგენს კვლევას დაქვემდებარებული საკითხის აქტუალობის გამძაფრება… „უსაფრთხოების მაგისტრის კვალიფიკაცია“, მისი როგორც მეცნიერული ასევე პრაქტიკული დატვირთვით, საქართველოში არის მოთხოვნადი, თანაც საჭირო და აუცილებელი.

33	სამართლის მაგისტრი კერძო სა მართლის მიმართულებით, ადვოკატი. სამშენებლო-დეველოპერული კომპანია: შპს "არსი" ვარიანტი 2 (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0058/NSC-14.XI.17 კორპორაციული უსაფრთხოების მეცნიერული კვლევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ამ სფეროს დიდი ისტორია არა აქვს ჩვენთან, ბევრი კვლევა არაა ჩატარებული ამ საკითხზე და შესაბამისად, დაგროვილი ცოდნაც მწირი და არასისტემატიზირებულია. ხოლო კვლევები ხელს შეუწყობს არსებული ცოდნის გარღმავებას, ახლის შექმნას და განვითარებას.
34	იურისტი, გორის რაიონული სასამართლოს თანამშრომელი „ნ.ო“ (f)	**ნ/გ** **14.XI.17**	NშI/0064/NSC-14.XI.17 ვეთანხმები „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მაღალ მოთხოვნას, ვინაიდან უსაფრთხოების სფერო არის ნამდვილად სპეციფიკური მიმართულებაა და კვალი-

			ფიციურ კადრს უნდა ენიჭებოდეს პრიორიტეტი, რომელთა მუშაობაც უსაფრთხოების სფეროში ქვეყნის მნიშვნელოვან ინტერესებს ემსახურება.

6. <u>მიმოწერის ობიექტების მიერ მოწოდებული პასუხების ანალიზი</u>

კვლევის საბოლოო შედეგების განსაზღვისათვის მიმოწერის ობიექტების მიერ მოწოდებული პასუხების ანალიზით იკვეთება შემდეგი:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებლებს არ აქვთ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ანიჭებს უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის (კოდი 070204) კვალიფიკაციას;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (გამოკითხვის 1 ობიექტი), ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან თანამშრომლობით, ახორციელებს თითოეული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას. მათი პოზიციით „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია არ არის მოთხოვნადი.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოზიციით (გამოკითხვის 1 ობიექტი) საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მიერ ეროვ-

ნული და კორპორაციული უსაფრთხოების პროფილით სპეციალისტის-„უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს მომზადება ხელს შეუწყობს აღნიშნული სფეროს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეს, რომლებიც მაღალკვალიფიციურად განახორციელებენ ღონისძიებებს როგორც სახელმწიფო, ისე კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

4. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დამოკიდებულებები:

ა) „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი **არ გააჩნია** 10 (ათი) სამინისტროს, მათ შორის **ოპერატიული საქმიანობის უფლებით** აღჭურვილ ისეთ **სახელმწიფო უწყებებს**, როგორიცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ასეთივე ვითარებაა საქართველოს პარლამენტშიც.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ სტრუქტურაში „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებზე მოთხოვნადობა სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას არ ითვალისწინებს;

ბ) „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა მოთხოვნადობის საჭიროებას, სამინისტროს საქმიანობის პრინციპებიდან გამომდინარე **უარყოფს** 5 (ხუთი) სამინისტრო. აღნიშნული

კვალიფიკაციის არამოთხოვნადობას აფიქსირებს საქართველოს პარლამენტი;

გ) მხოლოდ 1 (ერთი) სამინისტროში (თავდაცვის სამინისტრო) **„უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაცია გააჩნია** ამ სამინისტროს სამოქალაქო ოფისის 8 (რვა) თანამშრომელს;

დ) „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მოთხოვნადობის შესახებ **პოზიციას არ აფიქსირებს** 5 (ხუთი) სამინისტრო მათ შორის: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო;

ე) „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის“ კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა მოთხოვნადობის **უარმყოფ** 1 (ერთი) სამინისტროს მიაჩნია, რომ თანამედროვე მართვის სისტემების გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, აღნიშნული **მიმართულება აქტუალობას იძენს და მიზანშეწონილია, არსებობდეს** შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა. ამ პროგრამის ნაკლებად მოთხოვნადობას ადასტურებს 1 (ერთი) სამინისტრო,

5. პროფკავშირებისა (გამოკითხვის 1 (ერთი) ობიექტი) და არასამთავრობო სექტორის (გამოკითხვის 3 (სამი) ობიექტი) დამოკიდებულებები:

ა) **საქართველოს პროფესიული კავშირები** შრომის ბაზარზე **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ნაკლებობასა და მათ მოთხოვნადობას** ადასტურებენ;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმაზე, შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლზე, კორუფციული პროცესებსა, შესყიდვების მონიტორინგისა და სწავლების მიმართულებებზე მომუშავე **არასამთავრობო ორგანიზაციებში** უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციით თანამშრომლები (1 ობიექტი) დასაქმებული არ არიან. ისინი (3 ობიექტი) **აღნიშნულ კვალიფიკაციას მოთხოვნადად მიიჩნევენ.**

6. საქართველოსა და უცხო ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა (საქართველოს მოქალაქეები. ბაკალავრიატი, მაგისტრანტი, მაგისტრი, დოქტორანტი 7 (შვიდი) ერთეული) და სასამართლო ხელისუფლების სექტორში დასაქმებული იურისტის დამოკიდებულებები:

შესწავლას დაქვემდებარებული ჯგუფი (გამოკითხვის 8 ობიექტი) უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის **კვალიფიკაციას მოთხოვნადად მიიჩნევს**.

7. კერძო სექტორის (გამოკითხვის 4 ობიექტი სასტუმრო, რესტორანი, კვების პროდუქტების დამამზადებელი საწარმოო, ობიექტების ფიზიკური დაცვის სამსახური) **დამოკიდებულებები**:

კერძო კომპანიებში უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციით თანამშრომლები დასაქმებული არ არიან და მიიჩნევენ, რომ შრომის ბაზარზე კვალიფიკაცია მოთხოვნადია.

ამრიგად 34 გამოკითხული ადრესატისაგან იკვეთება კვლევისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი პარამეტრები: „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს კვალიფიკაცია

	იობლენცაოდაგ	ობლენცაოდაგ ირარ	ობლენცაოდაგ ბიდენლენ	იდნაშგაოკგეცვეთ ნეთაგ ეი-
სახელმწიფო სექტორი	**1**	**6**	**1**	**8**
არასახელმწიფო სექტორი	**4**	**0**	**0**	**0**

სტუდენტური სექტორი	7	0	0	0
სულ:	12	6	1	8

ცხრილის პარამეტრებით „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს კვალიფიკაცია მოთხოვნადია და მისი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვა სახელმწიფოს უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტი იქნება.

7. „უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს კვალიფიკაცის დანერგვის საფუძვლები.

(საბოლოო დასკვნა)

საქართველოს უმაღლესს საგანმანათლებლო სივრცეში *„უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი“-ს კვალიფიკაციის დანერგვის საფუძვლებია*:

- ***<u>საქართველოში არსებული მძიმე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება;</u>***
- ***<u>სახელმწიფოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მისი (კვალიფიკაციის) არ არსებობა;</u>***
- ***<u>მოთხოვნადობა საქართველოს შრომის ბაზარზე;</u>***
- ***<u>საქართველოს შრომის ბაზარზე უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციის</u>***

მქონე პირთა დასაქმების პრაქტიკულად არ არსებობა;

- *უცხო სახელმწიფოებში მსგავსი კვალიფიკაციების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობა*.